

# ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების A1 დონისთვის საჭირო მოთხოვნები და აღწერილობა

ნანა შავთვალაძე

საქართველოს უნივერსიტეტი

a-mail: n.shavtvaldaze@ug.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2023.28>

თანამედროვეობა ჩვენი ცხოვრების განმსაზღვრელია, სიახლეები მართავს ყოველივეს. ენა, როგორც ცოცხალი სისტემა, მნიშვნელოვნად რეაგირებს თითოეულ სიახლეზე. ყოველი თაობა თავის კვალს ტოვებს ენაში, ახარისხებს, ანაცვლებს და ზოგ სიტყვათა შეხამებას განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენს ხოლმე. ენების საერთო ევროპული ჩარჩო (CEFR-Common European Framework Reference) წარმმართველია ენათა დონის აღსანიშნად. ევროპის საბჭოს ფარგლებში წარმოებულმა ზოგიერთმა ინსტრუმენტმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ე.წ. „უცხო“ ენების სწავლებაში. მეთოდოლოგიური ინოვაციებისა და სასწავლო პროგრამების ხელშეწყობის გზით განსაკუთრებულად შემუშავებულია კომუნიკაციური მიდგომა. მათ ხელი შეუწყვეს სწავლების ამ მეთოდებით კომუნიკაციის ახალ მიდგომას - უცნობი ენების მარტივად და სწრაფად ათვისებისთვის - ხელსაყრელი გზით. ასე რომ, ენობრივი საჭიროების იდენტიფიცირებით მათ შეძლეს ზუსტად დაედგინათ ცოდნა, ანუ ცოდნა, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ დონის კომუნიკაციის ზღურბლის მისაღწევად.

აქამდე ყოველთვის ექვს დონედ იყო დაყოფილი შეფასების სისტემა. შესაძლებელი და დასაშვებია თითოეული დონის ორად გაყოფა ან დანაწევრება ადგილობრივი კონტექსტის საჭიროების მიხედვით. დონეები განისაზღვრება „შეუძლია“ აღწერით. ეს მიდგომა აღიწერა 2001 წელს, მაგრამ ამას უძლოდა გარკვეული პერიოდის სამუშაოები. „ზღვრული დონის“ პირველი სპეციფიკა ჩამოყალიბდა ინგლისური ენისთვის 1975 წელს (Threshold level). საერთოდ, დიდ ბრიტანეთს ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლების უდიდესი და უპირატესი გამოცდილება აქვს. უდავოდ, არცაა გასაკვირი, რომ ამ საკითხზე ფიქრი თავიდანვე მათ დაიწყო. ინგლისური ენის სპეციფიკის ჩამოყალიბებას უმაღლეს მოჰყვა ფრანგულიც (Un Niveau Seuil, 1976). სწორედ ეს ორი ინსტრუმენტია გამოყენებული საყრდენად იმავე ტიპის საცნობარო ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შემდგომში შეიქმნა სხვა ენებისთვის. რა თქმა უნდა, გათვალისწინებული იყო თითოეული ენის თავისებური მახასიათებლები.

CEFR ეგუძნება და აერთიანებს ყველა ამ მიღწევას და შეიმუშავა უცხო ენების დაუფლების აღწერილობა კომპეტენციისა და ქვეკომპეტენციის ტიპების მიხედვით. შექმნილი დესკრიპტორები ზოგადია, ანუ არაა მორგებული კონკრეტულ ენას. თუმცა,

სახელმძღვანელოების ავტორებისთვის, მასწავლებლებისთვის, სხვა პროფესიონალებისთვის CEFR-ში მითითებული სპეციფიკაციები შეიძლება ძალიან ზოგადი იყოს, რადგან არაა განხილული ცალკეული ენები. ამიტომ, მათ გამოყენების ველი ფართოა. დესკრიპტორები აკონტროლებენ თითოეული უნარის პროგრესულად დაუფლებას, რომელიც ფასდება ექვსდონიანი სკალით.

საინტერესოა, AI დონის სახელმძღვანელოებში როგორ წარმოჩნდება ეს მახასიათებლები.

**საკვანძო სიტყვები:** ენების საერთო ევროპული ჩარჩო, ქართული, როგორც უცხო ენა.

თანამედროვეობა ჩვენი ცხოვრების განმსაზღვრელია, სიახლეები მართავს ყოველივეს. ენა, როგორც ცოცხალი სისტემა, მნიშვნელოვნად რეაგირებს თითოეულ სიახლეზე. ყოველი თაობა თავის კვალს ტოვებს ენაში, ახარისხებს, ანაცვლებს და ზოგ სიტყვათა შეხამებას განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენს ხოლმე. ენების საერთო ევროპული ჩარჩო (CEFR-Common European Framework Reference) წარმმართველია ენათა დონის აღსანიშნად. ევროპის საბჭოს ფარგლებში წარმოებულმა ზოგიერთმა ინსტრუმენტმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ე.წ. „უცხო“ ენების სწავლებაში. მეთოდოლოგიური ინოვაციებისა და სასწავლო პროგრამების ხელშეწყობის გზით განსაკუთრებულად შემუშავებულია კომუნიკაციური მიდგომა. მათ ხელი შეუწყვეს სწავლების ამ მეთოდებით კომუნიკაციის ახალ მიდგომას - უცნობი ენების მარტივად და სწრაფად ათვისებისთვის - ხელსაყრელი გზით. ასე რომ, ენობრივი საჭიროების იდენტიფიცირებით მათ შეძლეს ზუსტად დაედგინათ ცოდნა, ანუ ცოდნა, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ დონის კომუნიკაციის ზღურბლის მისაღწევად.

აქამდე ყოველთვის ექვს დონედ იყო დაყოფილი შეფასების სისტემა. შესაძლებელი და დასაშვებია თითოეული დონის ორად გაყოფა ან დანაწევრება ადგილობრივი კონტექსტის საჭიროების მიხედვით. დონეები განისაზღვრება „შეუძლია“ აღწერით. ეს მიდგომა აღიწერა 2001 წელს, მაგრამ ამას უძღოდა გარკვეული პერიოდის სამუშაოები. „ზღვრული დონის“ პირველი სპეციფიკა ჩამოყალიბდა ინგლისური ენისთვის 1975 წელს (Threshold level). საერთოდ, დიდ ბრიტანეთს ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლების უდიდესი და უპირატესი გამოცდილება აქვს. უდავოდ, არცაა გასაკვირი, რომ ამ საკითხზე ფიქრი თავიდანვე მათ დაიწყო. ინგლისური ენის სპეციფიკის ჩამოყალიბებას უმაღლეს მოჰყვა ფრანგულიც (Un Niveau Seuil, 1976). სწორედ ეს ორი ინსტრუმენტია გამოყენებული საყრდენად იმავე ტიპის სხვა საცნობარო ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შემდგომში

შეიქმნა სხვა ენებისთვის. რა თქმა უნდა, გათვალისწინებული იყო თითოეული ენის თავისებური მახასიათებლები.

CEFR ეფუძნება და აერთიანებს ყველა ამ მიღწევას და გვთავაზობს უცხო ენების დაუფლების აღწერილობას კომპეტენციისა და ქვეკომპეტენციის ტიპების მიხედვით. შექმნილი დესკრიპტორები ზოგადია, ანუ არაა მორგებული კონკრეტულ ენას. სახელმძღვანელოების ავტორებისთვის, მასწავლებლებისთვის, სხვა პროფესიონალებისთვის CEFR-ში მითითებული სპეციფიკაციები შეიძლება მართლაც ძალიან ზოგადი იყოს, რადგან არაა განხილული ცალკეული ენები. ამიტომ, მათ გამოყენების ველი ფართოა. დესკრიპტორები აკონტროლებენ თითოეული უნარის პროგრესულად დაუფლებას, რომელიც ფასდება ექსპონიანტი სკალით.

საერთო ევროპული ჩარჩოს მითითებით ენის შეფასების ექვსი დონეა - A1, A2, B1, B2, C1, C2, რომლებიც შესაძლებელია, რომ დაჯგუფდეს სამ ფართო დონედ: ძირითადი მომხმარებელი, დამოუკიდებელი მომხმარებელი და გამოცდილი მომხმარებელი (CEFR). როგორც ვიცით, დონეთა ეს სისტემა უკვე შეთანხმებულია და მრავალ ქვეყანაში გამოიყენება ენობრივი კომპეტენციისა და დონის დასადგენად.

ცხადია, საქართველოშიც დაიწყო უცხო ენის დონეებთან დაკავშირებულ სიახლეებზე ფიქრი, ამ საქმეში პიონერი გახლავთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი. ის შესრულებულია სამინისტროსთან დაქვემდებარებული ქართული ენის სამმართველოში, მისი და ამ პროექტის ხელმძღვანელის, კერძოდ, მარიკა ოძელის მიერ. 2006 წელს პროექტის ფარგლებში გამოიცა წიგნი „ქართული ენის დონეების აღწერილობა - “Reference Level Description For The Georgian Language A1.A2.B1.B2“. წიგნის მოცულობა 261 გვერდია. პირველ ოთხ დონესთან დაკავშირებით განხილული და სტანდარტზე მორგებულია ქართულის, როგორც უცხო ენის აღწერილობა. შიგთავსი მისდევს CEFR-ის მიდგომებს და ითვალისწინებს ქართული ენის თავისებურებებს.


წიგნის „ქართული ენის დონეების აღწერილობა“ შედგენილობაში გათვალისწინებულია: ენის კომუნიკაციური სწავლების მიზნები; კომუნიკაციური კომპეტენციები როგორც ზრდასრული, ასევე მოზარდ შემსწავლელთათვის; ტექსტის ტიპები; სტრატეგიები, ენის ფლობის დონეების ნიმუშები (აუდირება, წაკითხვა, დიალოგი, მონოლოგი; წერა); ქართული ენის ფონეტიკისა და გრამატიკის აღწერილობა (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი).

მე-20 საუკუნის მიწურულს გაჩნდა საჭიროება ქართულის ენის, როგორც უცხო ენის შესწავლისა. საქართველოს პოლიტიკურმა მდგომარეობამ ხელი შეუწყო უცხოელთა შემოდინებას, რომელთაც ქართული ენის სწავლის სურვილი გამოთქვეს. ესენი იყვნენ როგორც უცხო ქვეყნიდან მოვლინებული დიპლომატები, ასევე სტუდენტებიც. ამიტომაც, ბევრმა მეცნიერმა მოჰკიდა ხელი ამ საშვილიშვილო საქმეს. დაიწერა სახელმძღვანელოები და მათი ძირითადი საფუძველი სწორედ „ქართული ენის დონეების აღწერილობა“ გახლდათ. სერია „ბილიკი“ ([www.lsgorgia.com](http://www.lsgorgia.com)), რომელიც მოიცავს დონეების მიხედვით სახელმძღვანელოებს, ეყრდნობა ამავე აღწერილობას, თუმცა პირველი დონის წიგნი გამოიცა 2005 წელს, აქ გათვალისწინებულია თავად ევროპული ჩარჩო, მაგრამ შემდეგი დონეებისთვის ძალიან ხელსაყრელი იყო ამ აღწერილობის გამოყენება.

სერია „ბილიკში“ მეთოდური მიდგომები ძირითადად სხვადასხვაა. გამოყენებულია როგორც კომუნიკაციური, ასევე ნაწილობრივ გრამატიკულ-მთარგმნელობითი მიდგომა. ოცდახუთწლიანი გამოცდილება და ქართული ენის სირთულე გვაძლევს იმპულსს, რომ ახსნილი და შესასწავლი მასალა A1 დონეზე იყოს ზედმიწევნით გასაგები, ლოგიკურად აწყობილი და თანმიმდევრული. ჩვენ ვცდილობთ დასაწყისში დავიცვათ ჩვენი შემსწავლელები, პროდუცირების ლექსიკასა და ფრაზებზე აქტიურად ვამუშაოთ, რეცეფციას კი თავად გამოიმუშავენ. მომდევო დონის დაუფლებისას კი აქტიურად ვიყენებთ როგორც პროდუცირების, ასევე - რეცეფციისთვის საჭირო ლექსიკას კითხვისა და მოსმენის სავარჯიშოებში.

დღეს უკვე CEFR-იც მიჰყვება სიახლეებს, ამუშავენ მასალებს, კვლევის შედეგად ცვლის მიდგომებს. ენის დონეებთან დაკავშირებით კი მიღებულია გადაწყვეტილება, რომ A1 დონეს დაემატოს ქვესაფეხური და Pre -A1 Foundation. იხილეთ:

## Understanding your English level



This table has been produced as a useful guideline for learners to understand the levels targeted by British Council adult courses. Alignment between the Common European Framework of Reference for Languages (CEFR), Exams and British Council courses has been based on publicly available information from the test providers. Examinations have been placed on the table in relation to the CEFR levels that the exam providers claim relevance to. However, it is not meant to imply direct equivalence or act as any guarantee for achieving the scores shown.

რას წერენ თავად ევროჩარჩოს A1-ის აღწერილობაში და რას აკისრებენ ინგლისური ენის შემსწავლელებს ამ დონეზე, - ეს საინტერესოა.

A1 დონეზე ენის შესწავლის მიზნით ოფიციალური განცხადებები დაყოფილია უფრო მცირე ნაწილებად, დანაწევრებულია უნარებად, რომ უფრო მეტად დაეხმაროს შემსწავლელსაც და მასწავლებელსაც კონკრეტული დონის შეფასებაში.

გვირჩევენ: მარტივად, მსუბუქი ენობრივი კონსტრუქციების გამოყენებას მისაღმებისას, საკუთარი თავის წარდგენისას, ოჯახის, ქალაქის, კოლეგების აღწერისას.

აგრეთვე, შემსწავლელმა უნდა შეძლოს საუბარი: საჭირო ნივთებზე; ტანსაცმელზე, საკვებზე (შეზღუდულად); გამყიდველთან; სახლზე; კერძებზე; ამინდზე; ჯანმრთელობაზე; ყოველდღიურ საქმიანობაზე; შეხვედრებზე; გარეგნობასა და პიროვნებებზე; ჰობსა და ინტერესებზე; გეგმებსა და სახალისო აქტივობებზე მეგობრებთან ერთად; სასტუმროს დაჯავშნის შესახებ; ამინდზე.

ევროჩარჩოს მიხედვით A1-ის აღწერილობაში დადასტურებულია, რომ ინგლისური ენისთვის საკმარისია 60-80 საათი სწავლება, რომ შემსწავლელმა მიაღწიოს ინგლისური ენის A1 დონეს (CEFR).

საქართველოს მთავრობამ 2020 წელს დაამტკიცა სახელმწიფო ენის მიერ შეთავაზებული „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა“, რომელზეც ქ. მარიკა ოძელის ხელმძღვანელობით მუშაობდა ლინგვისტთა ჯგუფი. აქ

ექვსივე (A1.A2.B1.B2.C1.C2.) დონე გაწერილია უნარების მიხედვით: მოსმენა, კითხვა, მეტყველება, წერა (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4908418?publication=0>).

ქართული ენის შესასწავლად, განსხვავებით ლათინური წარმოშობის ენებისა, რთული სინტაქსური კონსტრუქციებისა და გამოთქმის სირთულის მიხედვით, უფრო მეტი დროა განსასაზღვრი A1 დონისთვის, ვიდრე 60-80 საათი. თანამედროვე მიდგომა მისასაღმებელია, სიახლეა, A1-ისთვის ქვედა საფეხურის არსებობა უკვე ევროპული ჩარჩოს ცხრილში. სერია „ბილიკი“ ითვალისწინებდა ამ ქვედა საფეხურს მუშაობის პროცესში, თუმცა ცალკე ქვედონედ არ გამოყოფდა.

სერია „ბილიკი“ აგებულია მეთოდური ჩარჩოს მიხედვით, გათვალისწინებულია ენის სწავლების თანამედროვე მეთოდები, სტრატეგიები, გამოყენებულია პრინციპი - მარტივიდან რთულისკენ. მას უკვე აქვს A1.A2.B1.B2. სახელმძღვანელოები მოსასმენ მასალასთან ერთად. თითოეული დონე შედგება: სახელმძღვანელოს (მოსასმენი მასალით), სამუშაო რეგულისა და საკითხავი მასალისაგან. აგრეთვე, დაწერილია C1. დონის სახელმძღვანელო, რომელსაც დაბეჭდვამდე რამდენიმე სტუდენტი გამოცდის.

ფაქტობრივად, CEFR -ისა და „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგად აღწერილობას“ მისდევს სახელმძღვანელოების სერია „ბილიკი“. ბილიკი A1-ის მასალა, ისევე, როგორც სხვა დონეებისა, ეყრდნობა ოთხ უნარს: მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა. სახელმძღვანელოში გააქტიურებულია ყველა ტიპის ტექსტი; თემატურადაა მიწოდებულია ლექსიკა; ფრაზები; მოსასმენი დიალოგები; გრამატიკა; საჭირო ცხრილები მასალის უკეთ და მარტივად აღსაქმელად.

ბილიკი A1-ის სახელმძღვანელო შედგება შემდეგი თორმეტი კარისგან: მისაღმება; ადამიანები და ნივთები; გაცნობა; მგზავრობა ქალაქში; რესტორანში; ჩემს ოფისში; ბაზარში; ჩემი ოჯახი; სახლი და ბინა; ჩემი სამუშაო კვირა; ტურისტულ სააგენტოში; ოფიციალური შეხვედრა. თითოეულ კარში იფარება მარტივი ლექსიკა თემის ირგვლივ (თავაზიანი ფორმები, ქვეყანა, ეროვნება, ენა, ტრანსპორტით გადაადგილება, კვირის დღეები, სახლის აგებულება).

სახელმძღვანელოს ახლავს სამი ტესტი; ყოველი ოთხი კარის შემდეგ მოცემულია ტესტი, რომელიც ამოწმებს შემსწავლელის ლექსიკისა და გრამატიკის ცოდნას. ტესტებს ახლავს პასუხები. ლექსიკისა და ფრაზების ცოდნა მყარდება „საკითხავი მასალით“, რომელშიც გააქტიურებულია თითოეული წარმოდგენილი კარის დიალოგები.

ბილიკი A1-ის სახელმძღვანელო ფარავს შემდეგ გრამატიკულ კატეგორიებს:  
მრავლობითი რიცხვი: -ებ;

ბრუნვები: სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, ვითარებითი, წოდებითი;  
ნაცვალსახელები; ჩვენებითი, პირისა და კუთვნილების მხ. და მრ. რიცხვებში;  
რიცხვითი სახელები: 1-200;

თანდებულები: -ში, -ზე, -თან, -იდან/-დან, -ით, ამდე/-მდე, -თვის.

სიტყვაწარმოება; სა-ო;

ზმნები: ყოფნა, ცოდნა, ჰქვია; ქონა, ყოლა, წასვლა/მოსვლა, ცხოვრება, ლაპარაკი,  
ფიქრი, სწავლა, მგზავრობა, მიფრენა/მოფრენა, დაპატიჟება, საუბარი, ზეიმი.

მწკრივები: აწმყო, უწყვეტელი, II კავშირებითი.

ამგვარად, A1 დონის უცხო ენის შესწავლის შიგთავსი გაგაცანით ევროპული ჩარჩოსა (CEFR) და „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის“ მიხედვით; ასევე, წარმოგიდგინეთ სერია „ბილიკის“ A1 დონის შედგენილობა, რომელსაც შემსწავლელი ამ დონეზე გაჰყავს. ჩვენი გამოცდილება დადასტურებულია ევროპასა და აშშ დიპლომატიურ ცენტრებში შემსწავლელის მიერ წარმატებით ჩაბარებული გამოცდებით.

### ლიტერატურა:

ბრძანება 46/ნ (2019 წ. 6 მარტი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სტანდარტები.

ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ივნისის №394-ე დადგენილება:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4908418?publication=0>

შავთვალაძე ნ., - სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე I, ა1, „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მეხუთე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2022 (2019, 2014, 2012, 2006).

შავთვალაძე ნ., - სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე I, ა2. „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მეხუთე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2022 (2019, 2014, 2012, 2006).

შავთვალაძე ნ., -სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“, დონე I, „სამუშაო რეგული“, მეორე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2013 (2008).

შავთვალადე ნ., - სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“, სერია „ბილიკი“. დონე I. „ქართული დიალოგები“. საკითხავი მასალა. მესამე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. გამომცემლობა „ფორმა“. 2021 (2014, 2007).

<https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/level-descriptions>

<https://rm.coe.int/georgian-reference-level-descriptions-a1-a2-b1-b2-cefr/168077b6f5>

**Nana Shavtvaladze**  
University of Georgia

## **Description and requirements for teaching Georgian as a foreign language A1 level**

### **Abstract**

Modernity defines our life, novelty rules everything. Language, as a living system, reacts significantly to each innovation. Each generation leaves its mark in the language, sorts, replaces and assigns a special place to some combinations of words. The Common European Framework Reference (CEFR) is a guide for marking language levels. Some instruments produced within the framework of the Council of Europe played a decisive role in the so-called teaching "foreign" languages. A communicative approach has been specially developed through the promotion of methodological innovations and training programs. They have promoted a new approach to communication with these teaching methods - for easy and quick acquisition of unknown languages - in a convenient way. So, by identifying the language need, they were able to accurately determine the knowledge, that is, the knowledge needed to achieve this or that level of communication threshold.

Until now, the grading system has always been divided into six levels. It is possible and permissible to divide each level into two or subdivide according to the needs of the local context. Levels are defined by the "can" descriptor. This approach was described in 2001, but it was preceded by some period of work. The first specification of the "threshold level" was established for the English language in 1975 (Threshold level). In general, Great Britain has the largest and best experience in teaching English as a foreign language. Undoubtedly, it is not surprising that they started thinking about this issue from the beginning. The formation of the specificity of the English language was soon followed by French (Un Niveau Seuil, 1976). These two tools are used as the basis for reference tools of the same type that were subsequently developed for other languages. Of course, the peculiar characteristics of each language were taken into account.

The CEFR is based on and integrates all these achievements and has developed a description of foreign language acquisition according to the types of competence and sub-competency. The created descriptors are general, that is, they are not adapted to a specific language. However, for textbook writers, teachers, and other professionals, the CEFR specifications may be too general because individual languages are not considered. Therefore, their field of application is wide. Descriptors track the progressive mastery of each skill, which is rated on a six-level scale. It is interesting to see how these features appear in A1 level textbooks